პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 161 (13555) | შაბათი, 16 ივლისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ხაკა ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ახალი ძალით გაჩაღდა სამელიორაციო სამუშაოები. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აფხაზეთის სასისტემო სამმართველოს მუშაკების მუშაობა. ამ სურათზე აღბეჭდილია მოწინავე მექანიკოსტორე მ. ხაინდრავა, რომელიც მუშაობს გალის რაიონის ხუმუშქურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ჭაობების დამშრობი არხების გაყვანაზე. იგი ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

ვაშენოთ დროულად, ხარისხიანად!

ივლისის პაპანაქება დღეებია. ალიონიდან ვიდრე დასაღამდე რესპუბლიკის სულ ახალ-ახალ სამშენებლო ობიექტებზე ენერგიულად შრომობენ მკლავდაკაბიწებული მშენებლები. მათ წინ სერიოზული და საპატიო ამოცანა არის დასახული.

ცნობილია, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპს, რაც უზრუნველყოფს მისი ეკონომიკის სპეციალიზაციის კიდევ უფრო გაღრმავებასა და კომპლექსურ განვითარებას.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებას დაახლოებით 1,6-ჯერ, რაც ნიშნავს, რომ საერთო პროდუქციის მაცალის საშუალო წლიური ტემპი შეადგენს 9,7 პროცენტს, გაცილებით მეტს, ვიდრე წინა პერიოდში.

ამ დავალების წარმატებით შესრულების საქმეში, არსებული საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურ ამოქმედებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურ გამოყენებას, კაპიტალურ მშენებლობის უნარიან გაძლოლას.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ გასულ წელთან შედარებით წელს ჩვენი მშენებლები მეტი მონლომებით იღვწიან ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისათვის. გასულ ექვს თვეში ნაცვლად ასათვისებელი 82,2 მილიონი მანეთისა სამშენებელო ობიექტებზე ათვისებულია 81,7 მილიონი მანეთი, რაც გეგმის 99,5 პროცენტს შეადგენს. მართალია, დავალება მაქსიმალურად არ არის შესრულებული, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ იმავე პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელს, აღმოჩნდება, რომ, მიუხედავად გაზრდილი გეგმისა, წელს მშენებლებმა 11 პროცენტით მეტი თანხა ათვისეს. მშენებლობის სამეხანძრო მოგზაურმა წელს დასაწყისიდან საკუთარი ძალებით ნაცვლად 64,8 მილიონი მანეთისა ათვისა 66,6 მილიონი მანეთი, ე. ი. 102,7 პროცენტი. ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში. შემავალი თერთმეტი სამშენებელო ტრესტიდან, მთავარმბრძანებლისშენისა და სამხრეთ ოსეთის სამშენებელო სამმართველოდან იქვს თვეში გეგმა ვერ შეასრულა მხოლოდ ორმა — მერვე ტრესტმა (მმართველი გ. შანიძე) და მექანიზაციის ტრესტმა (მმართველი თ. ბელტიხინი).

ახალ ხუთწლედში პარტიამ დასახა საქართველოში ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ამ მხრივ რესპუბლიკაში საქმე ცუდად როდი გვაქვს. წარმატებით მიმდინარეობს რუსთავის სინთეტიკური ბოჭკოს ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა. ასევე დიდი გადაკრებებით სრულდება ქუთაისის ლითონოქონის ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოებიც. წელს დასაწყისში ჩამორჩენა იყო დაბა მადნეულის სპილენძის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობაზე, რომელსაც „საქშახტმშენის“ მეშვიდე ტრესტი (მმართველი შ. გარდაფხაძე) აშენებს. ეს ობიექტი საკავშირო მნიშვნელობისა. გაითვალისწინეს, რა ყოველივე ეს, მშენებლებმა ძალების დაძაბვით შეძლეს არა მარტო ჩამორჩენის დაძლევა, არამედ ნახევარი წლის სახელმწიფო დავალების გადაჭარბებით შესრულებაც.

წარმატებებთან ერთად, სამწუხაროდ, ვერ უგულებელყოფთ იმ ფაქტსაც, რომ მშენებლები ჯერ კიდევ ცოდავენ საწარმოო ობიექტების დროულად ამოქმედების საქმეში, რომ ამ მშენებლობათა ხარისხი დაბალია.

შარშან მშენებლებმა საეკსპლოატაციოდ გადასცეს ოკამის ღვინის ქარხნის მეოთხე ღვინის საცავი. წელს ახალი სეზონისათვის უნდა დამთავრდეს ქარხნის მეხუთე ღვინის საცავი. თუმცა მეორე სამშენებლო ტრესტის კასპის მეშვიდე სამშენებლო სამმართველოს (უფროსი გ. შენგელია) მუშებმა ნახევარი წლის დავალება გადაჭარბებითაც შეასრულეს, მაგრამ მათ მიერ შესრულებული სამუშაო მეტად უხარისხოა. დამონტაჟებული 110 ღვინის ბუტიდან შემოწმებული 22 ბუტი სითხეს უშვებს. გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი კურიოზული ფაქტი დანარჩენ რეზერვუარებშიც განმეორდეს. მშენებლობის სამეხანძროო, მოსი გაერთიანებისა და ტრესტების პასუხისმგებლებმა მუშაკებმა ხერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ხაშურ მახალთა მრეწველობის ობიექტთა მშენებლობის საქმე.

რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ დღემდე ვერ მოგვარდა დაჩქეფისა და ენერგიული მოძაურეს შორის ურთიერთ-კავშირისა და ურთიერთშეთანხმებული კონტაქტის საკითხი.

სამწუხაროდ, სიმძლავრეთა ამოქმედების ვადების გაგრძელების ფაქტებს სხვებიც ანაცვალებენ. შარშან მესამე კვარტალში უნდა ამუშავებულიყო ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკა, მაგრამ იგი საექსპლოატაციოდ აქამდე არ გადაუცია. უფრო მეტი, ამ ობიექტის მშენებლობის 6 თვის გეგმა წელს 94 პროცენტით არის შესრულებული. არადამაკმაყოფილებლად. ზანტად მიმდინარეობს დღიმში 200 ავტომანქანისათვის გათვალისწინებული გარაჟის მშენებლობა და ტყვარჩელის მეორე სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის რეკონსტრუქცია. იგივე ითქმის ხაშურის საგალანტერეო ფაბრიკის მშენებლობის ტემპზეც. ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 62 პროცენტით. ამის მიზეზია ის, რომ „საქშენინდუსტრიის“ ტრესტმა (მმართველი რ. ნინიძე) ვერ უზრუნველყო მშენებლები ასაწყობი კონსტრუქციებით.

მშენებლები სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს, რომ აღნიშნული და მექანიზაციის ტრესტები ჯერ კიდევ მუშაობენ ამოდაგნებულ ხელიდან. მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტი დაბალია, მათი გამოყენება უმთავრესად ხდება ერთ ჯერად და ისიც დიდი მოცდენებით, რაც ყოველად დაუშვებელია, ხოლო საქმშენინდუსტრიის ტრესტი დროულად ვერ ახდენს ახალი ხახის სამშენებლო კონსტრუქციების ათვისებას და პროდუქციის ხარისხიც არადამაკმაყოფილებელია.

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობაზე აღინიშნა მეტად სერიოზული ნაკლი, კერძოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის მოუწესრიგებლობა. იმის შედეგად, რომ დროზე არ ითვალისწინებენ დანახარჯების ყველა ელემენტს, ხურო შექმნან „მოჩვენებითი“ ეკონომია, საპროექტო ორგანიზაციები ამცირებენ ცალკეული ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას. ამის შედეგად მშენებლობის პროცესში ვლინდება ამ სარჯთაღრიცხვების უსაფუძვლობა, რაც იწვევს მათ გადასინჯვას გადიდების მიზნით. ეს კი მშენებლებს უქმნის ძმიმე ფინანსურ მდგომარეობას.

საწარმოთა, საპროექტო ორგანიზაციათა, სამინისტროთა და უწყებათა, ადგილობრივ პარტიულ და სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა აღმოუხვრიან ეს ნაკლოვანებანი.

წინ კიდევ ბევრი დროა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი სახელოვანი მშენებლების შრომის თავდადებას, მშენებლობის სწორ ორგანიზაციას შეუძლია კიდევ ბევრი სახიამოვნო შედეგი მოგვიტანოს.

საუბარი მოსკოვის საბჭოში

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი და მისი თანმხლები პირნი დღეს ეწვევიან მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს. სამატიო სტუმარს გულითადად მიესალმა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. თ. პრომისლოვი.

აღმასკომის თეთრ დარბაზში გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. ვ. თ. პრომისლოვმა სტუმრებს გააცნო მოსკოვის საბჭოს აღმასკომის, მისი დეპუტატების საქმიანობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძირითადი პრობლემა, რომელსაც მოსკოვის საბჭო წყვეტს, — ეს არის მოსკოველთა საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესება.

საუბარს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში ი. ა. ბენედიქტოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

ინდირა განდი ვ. თ. პრომისლოვის თანხლებით გამოვიდა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის მეორე სართულის აივანზე. საბჭოთა მოედანზე შეკრებილი მოსკოველები გულთბილად მიესალმნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს. (საკდესი).

აზრთა გაზიარება

14 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. პეტერის საუბარი. საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ და გულითადად გითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა აზრები გაუზიარეს ერთმანეთს ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებზე. (საკდესი).

ხუთწლედის ვალგზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). სამენ მასალათა კომბინატის კოლექტივმა ნახევარი წლის დავალება 104,3 პროცენტით გაანაღდა და ათასობით მანეთს ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

განვლილ პერიოდში კომბინატმა მშენებლებს მისცა 7,5 მილიონი ცალი აგური, ადრეული ფილები, სანიაღლე ბლოკები, ხოლო მოსახლეობას — 19 ათასი მანეთის ეკრანმაკეული ნაწარმი.

მეჯგუფეებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს ხარისხობრივი მაჩვენებლები, გაადიდეს ძალაში მარკის აგურის წარმოება. ახლა იქ 100-მარკიანი აგური მთლიანად გამოშვებული პროდუქციის 85 პროცენტს აღემატება. წელს კომბინატს არც ერთი რეკლამაცია [illegible] მიუღია.

აჭარელ მეაგრეშუმეთა წარმატება

აჭარის ასს რესპუბლიკის შეურნეობებმა ვადამდე, 12 ივლისისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის მარკის მიყიდვის წლიური გეგმა. დამზადებულია 592 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 590 ცენტნერისა.

გრძელდება სახელმწიფოსათვის პარკის მიყიდვა.

(საქდესი).

მეტალურგიის დღის ფესტივალი

ავანგარდში — მეფოლადეები

რუსთავი. (საკ. კორ.). რაც უფრო ახლოვდება მეტალურგის დღე, მით უფრო ზარდან შრომის ტემპებს რუსთავის მეტალურგები. ავანგარდში ყველავ მეფოლადეები დგანან. აქ 107 პროცენტით იქნა შესრულებული ივლისის ნახევრის საწარმოო დავალება. განსაკუთრებით სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ მეფოლადეები გ. ბერეკაშვილი, ა. ფანცულაია, მ. სპანდერაშვილი და ს. ნადირაშვილი. მათი ყოველი მეორე-მესამე ნადნობი ჩქარასნული და მძიმეწონიანია.

თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს ღირსეულად ხვდებიან აგრეთვე მებრძმედიები, მილის მწარმოებლები და ქარხნის სხვა კოლექტივები.

არის შვიდი თვის დავალება

მეტალურგის დღის საწარმოო მიღწევებით ხვდება ლენინის ორდენოსანი გიგანტის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი.

მაღაროელთა თავდადებული შრომით შვიდი თვის შედეგებად ამ ერთ ადგილ ხუთწლედის პირველი წლის შვიდი თვის დავალება, სამშობლოს, მიგვიყვანთ ათასობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებით დაზოგეთ 80.400 მანეთი.

რიტმულად მუშაობენ საწარმოო უბნების კოლექტივები. რომლებსაც ჯ. ჯიფარიძე, ფ. სარალიძე, ა. ტიფაძე, ჯ. ეორეულაძე ხელმძღვანელობენ.

წლიურ გეგმას ერთი თვით ადრე შეასრულებთ, შეინარჩუნებთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ დროშას.

ნ. ჩხენკელი,
მაღაროს დირექტორი,
აპ. სხირტლაძე,
პარტიული კომიტეტის მდივანი.

დიდი კმაყოფილება

ოტავა, 15 ივლისი. (საკდესი). კანადის პრესა დიდი კმაყოფილებით შეხვდა შეთანხმებას, რომელსაც ამას წინათ მოაწერეს ხელი პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დამყარების შესახებ სსრ კავშირსა და კანადას შორის. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მოსკოვ-მონრეალის საჰაერო ტრასა პირველი რეგულარული ავიახაზი იქნება სსრ კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს შორის, და ხაზს უსვამენ, რომ ამ შეთანხმების ძნიშვნელობა სცილდება ჩვეულებრივი კომერციული ხელშეკრულების ფარგლებს.

მონრეალის „გაზეთი“ შეთანხმებას ისტორიულს უწოდებს.

უგანდელი ხელის ინტერესებისათვის

კამპალა, 15 ივლისი. (საკდესი). უგანდის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა შეესაბამება მთელი ჩვენი ხალხის ინტერესებს, — განაცხადა დაგეგმვისა და ეკონომიური განვითარების მინისტრმა ჯონ კაკონგმ, რომელიც სიტყვა წარმოთქვა აქ შრომის პრობლემების სემინარის მონაწილეთა წინაშე.

ხუთწლიანი გეგმა, აღნიშნა მინისტრმა, ითვალისწინებს ეკონომიკის განეკრეული ბრძოლა ეგზისტენციალური ადამიანების ცხოვრებისა და სოციალური პირობების გაუმჯობესებისა.

ოქვენ, განაცხადა მინისტრმა, მიმართა რა პროფკავშირთა ხელმძღვანელებს, ჩვენი ქვეყნის ხალხის რეზერვების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხართ. ერთიანი პროფკავშირული ორგანიზაცია შეიძლება გახდეს ჩვენი საზოგადოების მშენებლობის ყველაფერიანი ეკონომიური სოციალური სამართლიანობისა და თანაბარ შესაძლებლობათა პრინციპებზე.

ჭორი უარყოფილია

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ ბრალად დასდო ამერიკის ხელისუფალთ, რომ ბორტ ცილისმწარმებლურ კამპანიას ეწევიან. სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რასთა ჩამოშორონ საზოგადოებრიობის ყურადღება ვიეტნამთან მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის კრიტიკას. ამ კამპანიის ნაწილია, ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლობის განცხადებაში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წამოყენებული ბრალდება, თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩეხოსლოვაკიის მუდმივი წარმომადგენლობის პირველი მდივანი ზდენეკ პისკი ცდილობდა შეეგულიანებინა ამერიკელი მოსამსახურე, რომ დაედგა მოყურადღების აპარატი სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში. ეს ბრალდება სრულიად დაუსაბუთებელია. და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლობა კატეგორიულად უარყოფს მას.

შეხვედრა ბრალი მიმივეთა

ბუდაპეშტი, 15 ივლისი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა მიიღო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ვალდეკ როშე. რომელიც მეგობრობის ვიზიტად იმყოფება აქ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. ამას იუწყება უნგრეთის დეპეშათა სააგენტო.

ჭორი

ბანგი, 15 ივლისი. (საკდესი). „მეგობრობა, რომელიც ბრძოლაში გამოიწრთო და ადამიანების გული მოინადირა, მტკიცე და ურღვევია და მარადიული იქნება“, — წერს დღეს ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობაზე გაზეთი „ნიან-ზანი“ რეპორტაჟში „საბჭოთა ადამიანის გული“.

რეპორტაჟის ავტორი ლე დიენი, რომელიც ვიეტნამის დელეგაციის შემადგენლობაში იყო საბჭოთა კავშირში, გულთბილად იგონებს მებრძოლ ვიეტნამთან საბჭოთა მშრომელთა ხოლიდარობის მახობრივ მოძრაობას.

სამშობლოში გამგზავრება

ულან-ბატორი. საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მ. ტ. ეფრემოვის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 45-ე წლისთავის გამო გამართულ ზეიმში, სამშობლოში გაემგზავრა.

(საკდესი).

საერთაშორისო ინფორმაციის

ამერიკის სენატში

ვაშინგტონი, 15 ივლისი. (საკდესი). ამ ბოლო პერიოდში სენატის სხდომა გუშინ მეორედ გაიმართა დახურულ დარბაზში. სხდომის დღის წესრიგშია განხილვა რეზოლუციისა, რომლის მიხედვით უფლება გაფართოვდეს სენატის ქვეკომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს ამერიკის მეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობას.

როგორც ცნობილია, სენატორმა მაკარტმ შეიტანა რეზოლუცია, რომელიც შეიცავს წინადადებას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ქვეკომისიაში შეიყვანონ სამი ახალი წევრი სენატის საგარეო საქმეთა კომისიიდან. ამჟამად ქვეკომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობას და რომელსაც მეთაურობს სენატორი რ. რასელი, შედგება შვიდი კაცისაგან — „შეინარჩუნოთ ძალების საქმეთა და ასოციაციათა კომისიების წევრებისაგან.

მაარი დაუჭირა რა მაკარტის რეზოლუციას, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, სენატორმა ფულბრაიტმა აღნიშნა, რომ „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში და თავისი საქმიანობით დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ურთიერთობაზე სხვა ქვეყნებთან“.

ნეონაცისტების ახალი გამოსვლა

ბონი, 15 ივლისი. (საკდესი). უუნელ. ახალი ანმოხდომა მოაწყვეს ნეონაცისტმა ანამბადებმა — ამჯერად ნენკერსდორფში (ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარე). აკლესიის კედელზე მათ ცარცით დახატეს დიდი სვასტიკა და მიეწერეს სიტყვები: „გეფმარკოს ადოლფ ჰიტლერს“. პოლიცია ნეოფაშისტთა თავხედურ გამოხდომას, როგორც ეს ოფიციალურად მოხდა, მიაწერს „არასრულწლოვანებს“.

ლ. ჯონსონის მოლაპარაკება ჰ. ჰოლტთან

ვაშინგტონი, 15 ივლისი. (საკდესი). ერთობლივი კომუნიკე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონსა და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ ჰოლტს შორის აქ დამთავრებული მოლაპარაკების შესახებ გამსჯავლულია მისაღებ ზომათა გასაგრძელ ომარსი ვიეტნამში. მათ დაადასტურეს ორივე ქვეყნის მთავრობების სურვილი ყოველნაირად დაეხმარონ საიონის რეჟიმს, რომ მათი მეცადინეობა „წარმატებით დაგვირგვინდეს“.

შეხვედრის დროს პრეზიდენტმა ჯონსონმა მიმოიხილა საომარი მოქმედება ვიეტნამში უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე, რომლის დროს, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბარბაროსულად დაბომბეს პაროისა და ჰაიფონის ნავსაგუთრის გარეუბნები. პრემიერ-მინისტრმა ჰოლტმა, ნათქვამია კომუნიკეში, „დიდად მოიწონა უკანასკნელი ამბების ეს მიმართულება“.

როგორც კომუნიკედან ჩანს, მოლაპარაკების მსვლელობაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა განიხილეს აგრეთვე აზიის ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური განვითარების საკითხები. ამასთან გასაკუთრებით უსვამენ ხაზს შეერთებული შტატების სამხედრო როლს დედამიწის ამ ნაწილში, ამართლებენ მათ პრეტენზიებს გაბატონებული როლი შესასრულონ წყნარი ოკეანის რაიონში.

ცხაკაიელ მეჩაიეთა გამარჯვება

მოკრეფილია 4.078 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.957 ტონისა

ცხაკაია. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მეჩაიეები, რომლებიც თავდადებით იბრძვიან პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. მათ ჯერ კიდევ 24 მაისისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ნახევარი წლის გეგმა. მაშინ ვალდებულება იკისრეს ეადამდე გაენაღდებინათ წლიური დავალება. ცხაკაიელებმა ეს პირობაც შეასრულეს. (პარტიის ცხაკაიის რაიკომის პირველი მდივანი ნ. შონია, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ბოფერია, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი დ. ბალაურია):

სახელოვანმა მეჩაიეებმა წელს კარგად მოუარეს პლანტაციებს, ფყრთოდ გაიჩიეს სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები. ჩაის ფოთლის ყოველდღიური, გახუნყვეტელი კრეფის შედეგად მოპოვებულია ახალი გამარჯვება. ვადაზე ორთვენახევრით ადრე — 15 ივლისისათვის განადგებულია წლიური დავალება. მოკრეფილია და მრეწველობას ჩაბარდა 4.078 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად 3.957 ტონისა. მოკრეფილი ნედლეულის 74 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 1.826 ტონით მეტი.

ამ წარმატების მოპოვებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კეკს, ხორმის, ლეძაძამის, ფოცხოს კოლმეურნეობების და სხვა კოლმეურნეობებმა.

ცხაკაიელი მეჩაიეები, რომლებმაც შარშან მიღწეული წარმატებებისთვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წოლილი დროშა მოიპოვეს, იბრძოლებენ ამ ჯილდოს შენარჩუნებისათვის და ვალდებულებას კისრულობენ ხეზონის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 1.100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეგმაი, ვალდებულებაც...

ხასიხარულოა, რომ ჩვენმა მეჩაიეებმა პირობის დადებაც იციან და შესრულებაც.

რაიონის მშრომელთა დიდ წარმატებაში მეც შევიტანე წვლილი. ჩემს მეგობრებთან ერთად ჩაბმული ვიყავი სოციალისტურ შეჯიბრებაში. სიტყვა არ გამიტეხია. ჩაის კრეფის წლიური გეგმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ შეგასრულე — მოვკრიფე 3.5 ტონა. შემდეგ ვალდებულება ვიკისრე მომეკრიფა 7 ტონა ჩაის ფოთოლი.

უხვად შემოსული ფოთოლი ყოველდღიურად გკრიფე, და ვალდებულებაც გავანაღდე მოვკრიფე 7.4 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. ვკისრულობ ახალ ვალდებულებას სამშობლის დამთავრებამდე. კიდევ მოვკრიფო 3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ფ. ხუნდარია,
ცხაკაიის რაიონის სოფელ უშაფათის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ამ პირმაცინარ გოგონას ზაირა ჰქვია. იგი ცნობილი მეჩაიის, სოციალისტური შრომის გმირის ბატიანა ყეშეგურიანას შვილია. მას დედამ შეაყვარა ჩაის ბუჩქები. რამდენიმე წლის წინათ ზაირა სიმწიფის ატესტატით მოვიდა სოფელ ზანის (ცხაკაიის რაიონი) უდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში და ენერგიულად შრომობს. წელს უკვე მოკრეფილი აქვს 4 ტონამდე ჩაის ფოთოლი.

ხუთათზე: გმირის ქალიშვილი ზაირა ნაუყენია.

ფოტო გ. ჯაყელისა.

195.000 ტონა ხარისხოვანი

საქმესი უარყოფს

ჯოგიერთმა ამერიკელმა ოფიციალურმა პირმა გავრცელა ცნობა, თითქოს საბჭოთა კავშირისათვის წინასწარ შეეტყობინებინოთ, რომ ამერიკის ავიაცია დაბომბავდა ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნებს.

ხაკდესს დავალებული აქვს გადაჭრით უარყოს ეს სიცრუე, რომელიც იმ მიზნით მოგვნეს, რომ დაამახინჯონ საბჭოთა კავშირის ნეთელი პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივი აგრესიის მიმართ.

უნდა გვეფიქრა, რომ არც ერთი ჭკუათმყოფელი კაცი არ დაიჯერებდა ამ სიცრუეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მონაჩმახი ხალისით გაიმეორეს ბეკინში. ჩინეთის ხალხური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩენ ი იმ ბეკინში გამართულ მიტინგზე ამა წლის 10 ივლისს განაცხადა, თითქოს „ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ ბინოისა და ჰაიფონის ღამბომბვა მოხლისაგან და სავსებით შეეროებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმების შედეგი ყოფილიყოს“.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს სიცრუე ვაშინგტონში შეუთხზავთ სპეციალურად იმ ვარაუდით, რომ გაიმეორებდნენ ანგისაბჭოთა ნაკალბევის მოყვარული პეკინელი მოლაყბენი, ცილს რომ სწამებს საბჭოთა კავშირს და ამ გზით ეკერს უკრავს ამერიკის პროპაგანდას. ჩენ ი არსებითად სამსახურს უწევს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს, რომლებიც ყაჩაღურ ომს აწარმოებენ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

„წითელი აისი“ აღდგენილია

ტაშკენტი, 15 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს შუა აზიის უდიდესმა სამკერვალო გაერთიანება „წითელმა აისმა“ 26 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ პირველად გამოუშვა ზეგეგმითი პროდუქცია. ამას წინ უძღოდა კოლექტივის ბრძოლა ოთვენახევრის მანძილზე ფაბრიკების აღდგენისათვის.

თითოეული მკერავი მშენებელიც გახდა, თქვა ფირმის მთავარმა ინჟინერმა ი. ბაბაიანცმა. ყველა მუშა-მოსამსახურე თვეში ორ დღეს მიანც ახმარს რემონტს. ტაშკენტელ მკერავებს უდიდესი დახმარება გაუწიეს მოსკოველმა, ბარნაულელმა, ივანოვოელმა, კამენსკელმა, როსტოველმა, სამარყანდელმა კოლეგებმა.

აღდგენილია ყველა საამქრო, სახელოსნო და მიწისძვრისგან დაზარალებული ყველა სხვა საწარმოო ნათავსი. ხელახლა აშენდა სახადილო, ბავშვთა საზაფხულო ბაღები და ბაგები.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. კ. ბაბაკანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წლისთავ დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმეთა მმართველი ამხ. გიორგი კონსტანტინეს-ძე ბაბაკანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1966 წლის 14 ივლისი.

ᲕᲐᲠᲦᲘᲡᲘ ᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

სოხუმი. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგები და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების საქმეში აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“. მოხსენება გააკეთა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ჩიქოვანმა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კპ გალის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ძაძუამ, საქართველოს სსრ მეცხოვრეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აფხაზეთის სასარგებლო სამმართველოს უფროსმა ა. ჭაჭუამ, ონამჩირის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ურიდიამ, გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობა „დრუჟბის“ თავმჯდომარემ დ. ერქვანიამ, სოხუმის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. პო

სექტემბერი რუსთაველის საიუბილეო თვეა

შემდეგრიან რუსთაველს

საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებით, კანონიერი სიამაყის გრძნობით ემზადებიან საერთო-სახალხო დღესასწაულისათვის, რომელსაც არა მარტო ჩვენი დიდი ქვეყანა, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობა აღნიშნავს. გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ გამოჩენილ საბჭოთა ლიტერატორებს, აგრეთვე მსოფლიო კულტურის პროგრესულ მოღვაწეებს მიმართა თხოვნით გამოთქვათ თავიანთი აზრი რუსთაველზე და მის პოემაზე რუბრიკით „რუსთაველი და ჩვენი თანამედროვეობა“. საიუბილეო პუბლიკაციის ამ სერიიდან გაზეთი მკითხველებს სთავაზობს გამოჩენილი ლიტველი პოეტის, ლენინური პრემიის ლაურეატის ედუარდას მეჟელაიტისის წერილს.

დღესვე ვაქვეყნებთ რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ კონკურსზე გამარჯვებულ სახალხო მთქმელთა ნაწარმოებების რამდენიმე ნიმუშს. იმედია, ჩვენი სახალხო მთქმელები, რუსთაველის პოეზიით შთაგონებული ახალგაზრდობა რედაქციას კვლავაც მოაწვდიან თავიანთ ნაწარმოებებს, რომლებსაც პერიოდულად გამოვაქვეყნებთ.

800 შოთა რუსთაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაირის უკვდავება

ივ. ლონგინაძეებათა შორის, რომლებიც გათვალისწინებული გზანაზორცელონ რესპუბლიკის თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივებმა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით, ერთ-ერთი დიდი და ძნიშვნელოვანი იყო სახელოვანი მგოსნის და მოაზროვნისადმი მიძღვნილი ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც გაიმართა 9 ივლისს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში.

რესპუბლიკურ კონკურსს წინ უსწრებდა ადგილობრივი და ზონალური კონკურსები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1.700-ზე მეტმა ინდივიდუალურმა შემსრულებელმა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზონალური კონკურსები ყველა ზონაში თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა, მთელ რესპუბლიკაში ერთდროულად ეღერდა სცენიდან რუსთაველის მაღალი შაირი და მისადმი მიძღვნილი ლექსი თუ სიმღერა.

რესპუბლიკურ კონკურსზე, ლენინაკანის მაყურებელთა სიმსჯავრზე საკუთარი ლექსით თუ პროფესიონალი პოეტებისა და კომპოზიტორების ნაწარმოებთა შესრულებით წარსდგა 118 თვითმოქმედი პოეტი, მხატვრულად მკითხველი, კომპოზიტორი და მომღერალი.

კონკურსში მონაწილეთა შორის უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნონ პელო ჩხაიძე — მახარაძიდან, შალვა ჩილაძე — სოხუმიდან და ალექსანდრე კაკაბაძე — ცხინვალიდან, რომლებიც აგრძელებენ მთელი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნის სახელოვან ტრადიციას.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს სოხუმელებმა ო. ჩაკუტაიამ და გ. კვრესელიძემ, რომლებმაც მაღალხატვრულად წაიკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ ბერძნულ და უკრაინულ ენებზე.

კონკურსის ფიერის გადაწყვეტილებით პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებული იქნა თვითმოქმედი კომპოზიტორი მარიამ ბიწკინაშვილი (თელავი) შ. რუსთაველს ტექსტზე შექმნილი მელოდიისათვის „წიგნი ნესტანდარეჯანისა საყვარელსა თანა“.

პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე სახალხო მთქმელები ო. ჩიკვატია (სოხუმი), ა. ხაჟომია (ზუგდიდი), შ. ხაჩიძე (ბორჯომი), ი. როსტომაშვილი (საგარეჯო), შ. კობახიძე (ყვირელი), ს. ჩინგაშვილი (თელავი) და დ. მორბედაძე (ლენინგორი).

მომღერალთა შორის პირველი ხარისხის დიპლომები ხვდათ გ. პაპალაშვილს (თელავი), ლ. ენუქიძეს და ე. მაისურაძეს (სოხუმი), ჭ. მიმინოშვილს, ა. ამაკელიას, ი. ალანიას, რ. თოდუას და ა. ბუკიას (ხობი), მ. მეხრიშვილს და კ. გოგაშვილს (წითელწყარო), ქ. ტაკაიძეს, შ. ელენტს და ი. სალუქვაძეს (ქობულეთი), პ. ხუბულავას, გ. ფაქაძეს, შ. ხაბურზანიას, ი. გუნავას (ზუგდიდი) და ვოკალურ ჯგუფებს ჩ. ქარდავას (წალენჯიხა), ა. პაიჭაძის (ლანჩხუთი) ხელმძღვანელობით.

თვითმოქმედ პოეტებიდან განსაკუთრებული წარმატება ხვდათ ი. ლონგინაშვილს (ახმეტა) და ახალგაზრდა პოეტ გოგონას ნ. როსტომაშვილს (საგარეჯო), რომელთა ლექსებმა უშუალობით, განცდით და მაღალმხატვრული სახეებით მოხიბლა მსმენელები.

მეორე ხარისხის დიპლომი მიიღეს: გაგრის მცხოვრებმა გ. მარტიროსიანმა ლექსისათვის „დიდ შოთას“, აგრეთვე ნ. ვახტანგაძემ, ე. ჯიქიამ და ბ. კოკაევიშვილმა (ტყიბული), მ. ჯაფარიძემ (ონი), ეოკალურმა ჯგუფმა ო. დიხამინჯიას (გეგეჭკორი) ხელმძღვანელობით და სხვ.

9 ივლისს გამართული მხატვრული თვითმოქმედების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო და სახოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, თუ როგორი შემოქმედებითი შესაძლებლობა აქვთ ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს და ინდივიდუალურ შემსრულებლებს და რა მაღალ დონეზე დგას ჩვენში მასობრივი ხელოვნება. კონკურსმა ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა გენიალური ქართველი პოეტისადმი ხალხის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული.

თ. ფერაძე,
საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის სარეპერტუარო განყოფილების გამგე.

კონკურსის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. (მარჯვნიდან მარცხნივ) ო. ჩიკვატია, შ. ჩალაძე, ა. ახაკელია, პ. ჩხაიძე, ჭ. მიმინოშვილი, ნ. როსტომაშვილი, ა. ალანია, ნ. კოხოძე, ა. კაკაბაძე.
ფოტო ს. კილაძისა.

რუსთაველი და ჩვენი თანამედროვეობა

პოეზიის დიდება

სულმნათო, მადლი შენს გამჩენს!
დიდება ერსა შენს მშობელს!
და ძგლად სამარადისოდ
ნეტარ ხსენება ამ სოფელს!

• კაკაკი წერეთელი

ედუარდას მეჟელაიტისი

◆

ლიდი გონებისა და გულის ადამიანები, როგორც ზღვა-ბარძია ხოლმე, მნათობები ხდებიან, გზას რომ უშუქებენ საუკუნეებს. ეს, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით სწორია უკვდავი შოთას მიმართ. უკვე რამდენი საუკუნეა ელვარებს ხალხების წინაშე „ვეფხისტყაოსანი“ და ზღვის სტიქიის მსგავსად განუწყვეტლივ ეღერს მისი შესანიშნავი შაირი!

ძნელია ახალი რამ დაწერო რუსთაველზე. განა ჩვენ, მზიურ საქართველოს მთაგრეხილები, ხეობები, მდინარეები, ვაკეები რომ ვავორებს, შეგვიძლია მეტოქეობა გავუწოთ გურამიშვილისა და ორბელიანის, ჭავჭავაძისა და წერეთლის დახვწილ, პოეტურ აზრებს. ხოლო მას შემდეგ, რაც ოქტომბერმა მოახდინა დიადი საუნიელი ყველა საბჭოთა ხალხის თანამონაწილეობისა თვითეული მათგანის შემოქმედებითს საგანძურში, წიგნებმა და გამოკვლევებმა „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე მთელი ბიბლიოთეკები შეადგინა, უჭკნობი გვირგვინი დაუწნა ქართული სიტყვის მეხსიერებას.

და მაინც მე, რომელსაც არ მეცალა ქართული მეტყველების მუსიკალური ყურადღება, არ ვიცნობ ადრეულ რენესანსს, მინდა გიამბოთ, თუ რატომ უყვართ ასე რუსთაველი ჩვენს ლიტერატურაში.

ომამდენიმე წლის წინათ მიწას მივაბარეთ ლიტვური ლიტერატურის უხუცესი ოსტატი — ა. ვეფუოლის-ყუკაუსკასი. მის კალამს ეკუთვნის მკაფიო და ულრესად თავისებური ლეგენდა, რომელიც შესულია ყველა ჩვენს ქრესტომათიაში და ცნობილია ევროპული ლიტველისათვის. ლეგენდის მოქმედება ძველ საქართველოში ეშლება. ნემანის მხარის მეფეს, ახალგაზრდობაში თერგისა და მტკვრის ნაპირებზე რომ ბოვრობდა, მგზნებარედ შეუყვარდა ქართველები, საქართველო და მისი შორეული წარსული. მხურვალე გრძნობებით არის გამსჭვალული ლიტვური სიბეთოა პროზის უფროფლების პიერას ცვირკას ნარკვევები რუსთველის მხარეზე. ხოლო ყველა ეს ლიტველი პოეტის ჩამოთვლას რომ შევუდგე, რომელებსაც საქართველოზე უწერიათ, დიდი გრანდიული დამჭირდებოდა.

პოეზიის მგალობელთა შეკიბრებაში XII და XIII საუკუნეთა ბიჯნაზე პროვანსის ტროუბადურებს ქვეყნიერების მეორე კიდიდან გამოეხმაურა სიმღერა ტარიელზე. რაოდენს უფროო ღრმა და ადალი იყო იგი, ვიდრე ლანგედოკის ყველა სტროფი! ეროვნული და ისტორიული სპეციფიკის ალი საქართველოში უკვე მაინ ამოდიოდა აღორძინების მზე. ამოდიოდა, რომ მალევე დაფარულიყო სისხლიან ალმურში, რომელიც უცხოელთა შემოსევამ დაანთო. ლიტვა რენესანსისა და პუმანიზმის სხივებმა გააშუქეს გალებით უფრო გვიან — XV და განსაკუთრებით XVI საუკუნეში. ეს განთიადიც მალე ჩაიკრა ალერიალური და გვიანფეოდალური რეაქციის მღვრიე ტალღებმა. მაგრამ წყაროების — თუნდაც ფარული წყაროების! — ასეთი ერთობა წინასწარგანსაზღვრავს ჩვენს ფიქრთა და სულთა ნთესობას. და ინდოეთის შვილი ტოეტის ელვარება „ვეფხისტყაოსნის“ დასკვნითს თავში ხელს ვერ ვაშლის ჩვენ, ჩრდილოეთის ალაცრი პეიზაჟის შვილთ, წავიკითხოთ რუსთაველის მიმართვა ტიურების მომაჯადოებელი პურიები კი არ არიან, არამედ გმირთა მეგობრები, რომლებიც სიმამაცესა და ერთგულებაში მათ როდი ჩამოუვარდებიან.

რვა საუკუნის წინათ რუსთაველი მტკიცე რწმენით ქადაგებდა სქესთა თანასწორობას, განადიდებდა გმირ ქალს.

მან უარყო სოციალური პირობითობა და სათუთი, გულში ჩამწვდომი ტონებით დაგვიხატა პორტრეტი კეთილშობილ მხევალ ასმათისა, რომელსაც ტარიელი ღვიძლ დას უწოდებს.

ვფიქრობ, მთელი მსოფლიოს პოეტებს უნდა შეშურდეთ „ვეფხისტყაოსნის“ არა მარტო შესანიშნავად შეკრული შინაარსი, არამედ მისი ფორმაც. უბადლო ოსტატობა. მე მხოლოდ ეუფრომყრულად ვიცი ქართული პოემის მომაჯადოებელი ბგერადობა, მაგრამ მის საუკეთესო თარგმანებში გრძნობ მხედრის მძლავრ ხელს, რაშებივით რომ დაუოკებია სტროფები, რათა კვლავ გააგელვოს ისინი „შარა გრძელზე“.

რუსთაველის სიდიადეა არა მონუმენტის ცივი ბრინჯაო, არამედ სიცოცხლის — ყოველივე არსებულის მხატვრის — სრულხმოვანება და სისხლსავსეობა.

და განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენთვის, ცოცხალი სიტყვის მშრომელთათვის, რომ შოთა მგოსნის შემოქმედებას საგმირო საქმედ თვლის.

მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს მიანჩია თავისი შემოქმედება ქვეყნის სამსახურად და საგმირო საქმედ.

ჩვენს დროში, როცა პოეზია იბრძვის ფილოსოფიისა და წმინდა მეცნიერების სფეროში, ჩვენ ვიმეორებთ შოთას ანდერძს, რომელმაც პოეზიას „სიბრძნის ერთი დარგი“ უწოდა.

ხელოვნების ყოველ ჭეშმარიტ ნაწარმოებს, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად დროის უზარმაზარი მარათონები გადმოუვლია, თავისი ბიოგრაფია ექმნება. „წიგნებს თავიანთი ბედი აქვთ“, — თქვამთ ძველებს.

და შოთას პოემის ბედიც უაღრესად წარმატაც პოემას მოგვაგონებს.

კეთილშობილებისა და სილამაზის ეს წყარო ადფრთოვანებდა შოთას ხალხს სულიერი სიმტკიცისათვის, სასწაულებრივი გმირობისათვის მრავალი საუკუნის მანძილზე. „ვეფხისტყაოსანი“ ასჯერ, ათასჯერ გადაუწერიათ, სანამ 1712 წელს არ გაჩნდა მისი ნაბეჭდი ვახტანგისეული გამოცემა, რომელიც საბჭოთა თბილისში აღდგენილ იქნა ორას ოცდაბუთი წლის შემდეგ.

მაგრამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე გულშიჩამწვდომია ის, რომ წარმოიშვა „ტარიელიანი“, უკვდავი პოემის თანამგზავრი, თითქოს მისი გადამღერება. თუ რუსთაველმა ქართული ფოლკლორის წყაროდან აიღო ზოგიერთი მოტივი და დეტალი. ხალხმა ამ თქმულებით თავისებური ზეპირი ძეგლი დაუდგა მას. მე არ ვიცი სხვა მსგავსი მოვლენა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. და ეს ერთხელ კიდევ განმიმტკიცებს რწმენას ჩემთვის ძვირფასი ქართველი ხალხის სწორუპოვარი მოძღვრლის — სულმნათი შოთას ჭეშმარიტი სიდიადისადმი!

ქ. ვილნიუსი.

ვეფხისტყაოსანი ზეპირად

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარმთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა, —
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემელი ტყვიისა ლბილისა“...

...სტრიქონი მიპყვება სტრიქონს, სტროფი-სტროფს. მოხუცის მკაფიო და ღღერადი ხმა აცოცხლებს გენიალური პოეტის უკვდავ ვეფხვებს — ავთანდილს, ტარიელს, ნეკტან-დარეჯანს, და შეკრებილი ახალგაზრდობა დაძაბული ინტერესით უსმენს პაპა ფირუზს.

ოთხმოც წელს გადაცილებული ფირუზ მესაბლიშვილი მშობლიური სოფლის — ქისტაურის ფარგლებს გარეთ ცნობილია არა მარტო მარჯვე შრომით, არამედ იმითაც, რომ ახალგაზრდობაში ზეპირად ისწავლა გენიალური მოთას უკვდავი პოემა და ახლაც ხალისით გადასცემს მას მსმენელთა ფართო აუდიტორიას.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდა პაპა ფირუზი ცნობას რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნის შესახებ. ახლა მსმენელთა აუდიტორია უფრო ხალხმრავალი გახდა. „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მოსასმენად მოდიან მოსწავლეები, დიასახლისები, კოლმეურნეები. ხშირად მასთან მეზობელი სოფლებიდანაც კი ჩამოდიან მოსასმენად. პაპა ფირუზი ახლაც გამრჯედ შრომობს და ხატოვნად გადასცემს ზეპირად დიად ქმნილებას.

მ. ზაალიშვილი,
თელავი.

ქისტაურელი მოსწავლეები ხშირი სტუმრები არიან ფირუზ მესაბლიშვილისა, რომელიც რუსთაველის შაირით ატკბობს ახალგაზრდებს.

ფოტო ა. ბროდსკისა.

ვის შეგადარო!

ვის შეუძლიან როგორც ღირს
შენი ქება და დიდება,
შენზე ძლიერი ხმელეთზე
რა ორბი ამოფრინდება.

ნიჭით ვინ მოინახება
სხვა შენზე გასაოცარი,
ან დიდი ფილოსოფოსი,
ან შენზე დიდი მგოსანი?

ან შენზე გულთამხილავი,
კაცი ბრძენი და ჭკვიანი,
სულით ლამაზი, უებრო,
უხვი, ქველი და სვიანი.

გულადი, სწრაფი, ფრთამალი,
გონება მახვილიანი,
ოადონების ტკბილ ხმაზე
ათასჯერ ტკბილი ხმიანი.

რა გალობს შენებრ ტკბილ
ხმაზე,
რა მეკვიან შენი ფერისა,
ვინ არის შენზე შორსმჭვრეტი,
შენზე შორს ყურთა სმენისა?

წყალუტარები, ცეცხლგამძლე,
ენა უცვეთი, მაგარი,
ან შენი სიბრძნე არ ეყოს,
იმდენი ხალხი სად არი?

რომ შენი თაფლი არ ეყოს,
იმდენი ხალხი სად არი,
ისეთ უკლებლივ ზღვასა მგავს
ეს შენი ნაამბარი.

სიკო ჩანგაშვილი,
თელავი.

ჩენი ლექსების ედინარე

ქართულის პოეზიისა შენ გიკავია სადგე,
პირველმა აღმოაჩინე მდიდარი ლექსის სათავე,
შენ ოქროს ბარი დაკარი, ზე ამოხეთქა მდიხარემ.
იქ გაბანილმა რუსთველმა უკვდავების გზით იარე.
გწვავდნენ და მაინც ვერ დაგწვეს, ფოლადის თქვა გეფარა,
ცეცხლს ცეცხლი სწვავდეს, სად თქმული, შენ ხომ თვით ცეცხლი გებარა.

შენი პოემა ცეცხლია, არც ქრება, არც იბინდება.
რამდენად მეტ წყალს დასხმენ, უფრო და უფრო ინთება.
შენი პოემა ჯარია, მტრის თავზე რისხვის მფრქვეველი
სარდლად მას ტარიელი ჰყავს, ვეფკაცი მძლეთა მძლეველი.
რვაას წლის შემდეგ ჩვენც შეგხვდით მტრის ათასტყვიამოვედრილს,

ცეცხლოვანი გზით დღეს ჩვენთან თვით ცეცხლის რაშით მოსულიხარ.
გულში ცეცხლს გვმატებს, თვალში ჩინს, შენი ლექსების მშვენება,
ნესტანის შუქი გვგონია ყოველ ახალ დღის თენება.
დღეს ჩვენც სიმღერით მიგყვებით შენი გმირების მოძახილს,
შენი პოემა განმზა დღეს ყველა ქართულ ოჯახის.
დაუფლებია მსოფლიოს შენი ლექსების მდინარე,

ყველაზე ცოცხლად შენ ჩანხარ იერუსალიმს მძინარე.
იერუსალიმს კი არა, ჩვენს გულებში გიძგერ საფლავი,
სხვაგან არც დაიმარხები ჩვენი ცხოვრების მთაფლავი,
ვინა თქვა შენი სიკვდილი, შენ არ გკვირდება საწარე.
შენ ხომ სიკვდილიც სძლიე და საფლავში იგი დამალე.
შენი ცეცხლოვან სიმღერით კლდეებსაც მკერდი ერხვევა,

რა გატეხს დიდი რუსთველის ლექსის ფოლადის ხერხემალს,
მთებიც იშლება, ბერდება და მდინარენიც შრებიან.
თვით ციდან მეტეორებიც ხანდაზმულობით სწყდებიან,
მაგრამ შენ ხანდაზმულობა მოთოკე ლექსის ღვედებით.
ამიტომ რვაას წლის შემდეგ დღეს ცოცხლად კვლავ იხედები.
ოქროს კალმები ვერ დაძლევს, ბინდიც სულ წერდნენ ასწლობით,

შენსა ბატის ფრთა კალამსა, უკვდავებაში ჩაწობილს.
იცოცხლებ, სანამ თაფლი სდის ჩვენს გულში მაგ შენ სტრიქონებს,
იცოცხლებ, სანამ ქართლის მზე შენს მეხსიერს გულში იკონებს.

იოსებ ლონგინოვი,
ზემო ალვანი.

დაე მარად გუგუნებდეს

როგორ გავძლო, არ შევიქმ,
საყვარელი ჩვენი ენა,
რუსთაველის ტკბილქართული,
ოიოობის „დედა-ენა“,
მოიდან ზვავის დაქანება,
ჩალა ჩანჩქრის ჩამოდენა,
სხვა რა არის ბუნებაში
უფრო დიდი აღმოჩენა.

ჩვენი სიტყვა ვაუასვით
ამაყი და რაინდია,
ყაბზეგივით ბობოქარი,
ზვიადი და ხმამაღალი,
ჩვენი სიტყვა თამართან და
ერეკლესთან ნაფიცია,

ჩვენი ენა ათონელთა
უკვდავ ძმობის ნაკურთხია,
ჩვენი ენა ხან ვეფხია,
ხან ხალდიანი სათუთია,
ჩვენი ენა რუსთაველის
დიდი სიბრძნის ნაშუქია,
ჩემი ერის, ისტორიის,
ზმაუწყნობი ნაქუხია.

ამ ენაზე ჩვენს წინაპრებს
ულაწიათ ბედის კალო,
გრძელ სუფრაზე უმღერიათ
„ზამთარო“ და „ირბალალო“,
ამ ენაზე წარმოუთქვამთ,
რაც ბქონიათ გასახარი
და ვალად გვიდევს ყველამ
ერთად
დავიცვათ და დავიფაროთ.

ჩვენი ენა ნამღერალი,
ნაზავთარი, ნაომარი,
მზეგრძელობდეს,
დღეგრძელობდეს
ქვეყანაზე გადამწვდარი,
ჩვენი ენა ჩვენი ერის
არსებობის დიდი ფარი,
დაე მარად გუგუნებდეს,
ვით გუმბათზე დედოზარი.

იოსებ როსტომაშვილი,
სოფ. ნინოწმინდა, საგარეჯოს რაიონი.

დაბრუნება

ხერთვისიდან რუსთავამდე
რაც კი მტკვარზე მორეული,
ყველა ხე და ყველა ბუჩქი
ჩემი ნაამბორეული.

დიდხანს გიყავ უცხოეთში,
ეძებნე მისი ნატერფალი,
ვინც ჯიქივით იყო ურჩი,
ვისიც მწვავდა ნაპერწკალი.

ბაღდადსა და ინდოეთში,
მდინარეთა ნაპირებთან,
მისი დარდი მაწუხებდა,
მისი ცრემლი მატირებდა.

ვერ იქნა და ვერ მოვნახე,
ვერ ვიპოვნე მისი კვალი,
ვერ ვიხილე ჩემი ხატი
ვერც მკვდარი და ვერც
ცოცხალი...

ოუმცა თმაზე დამათოვა,
გული ჩემი მაინც გულობს, —
რვაასი წლის უნახავი,
ჩემო მიწავ და მამული.
გმირთა ძვლებით ჩაკირული,
ჩემის ცრემლით დანამული!

ღღეს შენთან ვარ შენი შვილი,
შენს მიწაზე დაჩოქილი,
ბედისაგან დასჯილი და
ბაღდასტინას გატყორცნილი.

იქნებ ჩემი გულის მკვლელმა
აქ დაიდო სადმე ბინა,
ვარძიაში მინთებს სანთელს
ან კლდეკარში ტაძილად
სძინავს...

იქნებ სადმე გადაეწყდე,
იქნებ სადმე მოკვარა თვალი,
იქნებ ერთხელ კიდევ ვნახო
თამარ მეფის ნატერფალი!

შოთა ხაჩიძე,
წალენჯიხა.

იმიტომ ბრწყინავ

შენ იმიტომ ბრწყინავ —
გზები გაგვგრძელო,
ყველა დროის მზეო,
რუსთაველო ბრძენო!

საუკუნე მისდევს
საუკუნეს ისევ,
შენ დაოსე ქვეყნად
შუქი სამიისე.

ბარ მეფეთა მეფე
შენ სიმღერის ტკბილის,
სიხარულო დღეთა
და ღიმილო ღილის.

და წკრიალებს სიმი
შენი დიდ ქნარის,
ქნარის — ხოცვარის,
ქნარის — საფიცარის...

ორთის იმიტომ სიმი —
გზები გაგვგრძელოს,
ყველა დროის მზეო,
რუსთაველო ბრძენო!

ონისიმე ჩიკვატია.
სოხუმი.

პოემა მინიატიურული ფორმატით

გამოვცემლობა „განათლებამ“ გამოსცა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ეს მინიატიურული გამოცემა დაბეჭდილია შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის მიერ შოწონებული ტექსტის მიხედვით. ტექსტი მოამზადეს: გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ. რედაქციას იკუთვნის ირ. აბაშიძისა და გ. წერეთელს.

წიგნს ერთვის ს. ქობულაძის ილუსტრაციები. მხატვრულად გაფორმეს ე. ბერძენიშვილმა და ზ. კაპანაძემ.

ტყვიავში შექმნილი ქანდაკება

თვითნასწავლი მხატვრის შალვა მარადიშვილის მრავალ ნამუშევარს მოუთავებია წარმატება ხალხური შემოქმედების გამოფენებზე. როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ხოლო 1937 წელს მოსკოვის ნ. კრუპსკაიას სახელობის ხალხური შემოქმედების სახლმა მისი ნამუშევრები პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე გაგზავნა. ამ გამოფენაზე თვითნასწავლი მხატვრის ქმნილებებს დიდი მოწონება ხვდა.

შ. მარადიშვილის ნამუშევრები გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია. მხატველთა დიდ ინტერესს იწვევს მისი ტილოები: „შოთა რუსთაველი“, „ვეფ“, „კახელი გლეხი“, „სადღეგრძელო“, „სოციალისტური შრომის გმირი“ და სხვ.

თვითნასწავლი მხატვარი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით შრომობს, თავისუფალ დროს კი, გვიანობამდე ზის და საყვარელ საქმიანობას ეწევა თავის სახელოსნოში, რომლის კედლები მისი ნამუშევრებით არის დაფარული. მათ შორის აღსანიშნავია შოთა რუსთაველის ქანდაკება, ბარელიეფი შოთას გამოხატულებით, გამოკვეთილი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის შთაგონებით და სხვ.

შ. მარადიშვილმა გენიალური ქართველი პოეტის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით შექმნა დიდი ტილო „შოთა რუსთაველი საერო ტანსაცმელით“.

სპ. რეხვიაშვილი,
ქ. ბორი.

ჩვენი რუსთაველიანა
• ფურცელი მეოთრე •

კომუნისტი — ახალი ცნობები

ქუთაისელ მწერალთა კრება

ქუთაისი. (ჩვენი კორ.). შემოქმედებითი მუშაობის საჯაროობის აქტუალურ საკითხებზე. საქმიანი ხასა-ბაასი გაიმართა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების საანგარიშო საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა. კრებამ მოისმინა და განიხილა განყოფილების პასუხისმგებელი მდივნის დ. კეციალრიძის საანგარიშო მოხსენება.

კამათში გამოსულმა პოეტებმა გ. სამხარაძემ, ლ. ნუცუბიძემ, ს. გურჯიძემ, მ. კაკიტელაშვილმა, თ. აბულაძემ, კრიტიკოსმა ს. არველაძემ საქმიანი შენიშვნები გააკეთეს განყოფილების და მისი ბიუროს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. კერძოდ, მან აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის ბეჭდვით ორგანოებში არასაკმაოდ იბეჭდება ქუთაისელ მწერალთა ნაწარმოებები. ბიუროს დღემდე ვერ შეძლო ლიტერატურულ-კულტურული მომსახურება გაეწია მეზობელი რაიონების მშრომელებისათვის, იშვიათად ეწყობა გასვლითი ლიტერატურული საღამოები და დისპუტები, ლიტერატურული ჟურნალების განხილვა.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები პოეტები კარლო კალაძე და რევაზ მარგიანი.

მწერალთა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ აირჩია მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ბიუროს, აგრეთვე საქართველოს მწერალთა VI ყრილობის დელეგატები.

ფოთის ნავსადგური სამართლიანად ითვლება ჩვენი რესპუბლიკის საზღვაო კარიბჭედ. აქ უშვებენ ღუზებს გემები მსოფლიოს მრავალი კუთხიდან. სურათზე: საღამო ფოთის ნავსადგურში.

ფოტო ს. კილაძისა.

სპინტერესო ამბები

იპაროსი დედამიწას არ დაეკახება

მცირე პლანეტა იპაროსი (მისი დიამეტრია სულ დიდი კილომეტრნახევარი), ყველაზე უფრო დაუახლოვდება დედამიწას 1968 წლის 15 ივნისს. — „ზოგი შეედგომით ამბობენ ამ მოვლენას და მიიჩნევა, რომ იპაროსი დედამიწას დაეჯახება, — თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ს. გ. მაკოვერმა.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი სამუელ ჰერიკი, რომელიც იპაროსის მოძრაობას სწავლობს, აგრეთვე ამბობს, რომ ხმები, თითქოს იპაროსი დედამიწას „უნდა“ დაეჯახოს, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გავრცელდა. „ამან ითქვა ჰერიკი კიდევ ერთხელ გამოუცხადარიშენია იპაროსის მოძრაობა და დაეზუსტებინა პლანეტის მდგომარეობა დედამიწასთან ყველაზე ახლო ყოფნის მომენტში. გამორიცხავ, რომ უმცირესი მანძილი ორ პლანეტას შორის იქნება დაახლოებით 6 მილიონი კილომეტრი. ამრიგად, კოსმოსური გზაჯვარედინებზე მოძრაობის „უსაფრთხობა“ უზრუნველყოფილია.

თევზები ნაპირზე გამოდიან

მეცნიერებმა აღმოაჩინეს თევზები, რომლებიც ნაპირზე გამოდიან და ხელიკებებით დაცოცავენ ქვებზე. ეს წვრილი თევზები (15 სანტიმეტრამდე) ცხოვრობენ ტროპიკული და ზომიერი ზღვების მოქცევა-უკუმქცევის ზონაში. ხასიათის ზოგიერთი თვისებებისათვის, რაც უმაღლესი ცხოველების ხასიათს წააგავს, ამ თევზებს „ზღვის ძაღლები“ დაარქვეს. ლაბორატორიის პირობებში თევზები მიაჩვიეს იმას, რომ საკვებს იღებენ გარკვეულ, საკუთარი ბაგიდან, არჩეულ საგნის ფერს, ფორმას, ზომასა და მდგომარეობას. ჩვეულებრივი ძაღლივით „ზღვის ძაღლები“ ალერსიანად ეკრცევიან ადამიანს: მაგალითად, ისინი ისვენებენ აკვარიუმში ჩაშვებულ ხელზე. ზოგიერთი სახეობის თევზი ცოცხალ შვილებს ბადებს, ამასთან ზოგი შვილებს ზურგის ცოცხალ ღრუებელში (როგორც ინკუბატორში), სხვას კი შვილი დედის სხეულშივე ეზრდება 2.3-3.5 სანტიმეტრამდე. ინგლისელმა მეცნიერმა მილდრედმა დაკვირვების შედეგად გამორკვა დასკვნა, რომ „ზღვის ძაღლების“ დასვენება გავს უმაღლესი ცხოველების ძილს.

დაბლოვი მოძრაობს

ამ ბოლო 25 წელიწადში ქალაქი ბარბადოსი ომსკთან შედარებით მეტრნახევრით ამაღლდა. ეს მოხდა დედამიწის ქერქის ნალექი მასების ნელი გადაადგილების შედეგად. ეს შემოხვევაში გადაადგილება ხდება ჩრდილოეთისაკენ. სწორედ ამით აიხსნება დასავლეთ ევროპის ცნობილი ნოეფიერი „ფაფრების“ (ჩრდილოალმოსავლეთით გადაჭიმული ნაოკა დებლობის) წარმოშობა.

ტურისტები გერმანიიდან

ბათუმი. (საკ. კორ.). საოკეანო ლაინერმა „ივანე ფრანკოო“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ბათუმში ჩამოიყვანა 500 ტურისტი.

სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ბოტანიკურ ბაღში, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და ჩაის ქარხანაში.

მეორე დღეს ლაინერმა კურსი ოდესისაკენ აიღო.

გუშინდელი ფოსტიდან

△ **დუშეთი.** შატილი შორეული და ძნელად მისადგომი სოფელია, მაგრამ შატილელნები მოწყვეტილი როდი არიან გარეშემყოფნი. მათი ბევრი სტუმრები არიან სხვა და სხვა პროფესიის ადამიანები. 12 ივლისს შატილში ჩავიდა ექიმთა ჯგუფი. მათ გასინჯეს ავადმყოფები, რომლებიც უზრუნველყვეს საჭირო მედიკამენტებით.

ო. ნამგალაური.

△ **ზუგდიდი.** ბ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საღამო-კონცერტი გამართა ეზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიურ ჯაზის ორკესტრმა (ხელმძღვანელი და დირიჟორი გლ. ვლადიმეროვი). კონცერტზე წარმოდგენილი იქნა ეზერბაიჯანელ, რუს და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა სიმღერები.

△ **მცხეთა.** პატივისცემა დაიმსახურა სარაიონო ბიბლიოთეკის წიგნების დამტარებელმა მარიამ გოგობერიძემ. იგი ყველა ოჯახის სასურველი სტუმარია. წელს მარიამმა თავის უბანში, სადაც ორმოცდაშვიდი ოჯახია, ბიბლიოთეკის მკითხველებს ოთხასზე მეტი წიგნი ჩაბარა წასაკითხად. მარიამი წიგნის ერთგული პროპაგანდისტია. სარაიონო ბიბლიოთეკამი (გამგე ქ. თამარაშვილი) ამჟამად 25 ათასზე მეტი ტომია. წელს ბიბლიოთეკას ათასსუთასზე მეტი მკითხველი ჰყავს.

ო. ქისტაური.

△ **ბიათორა.** ბიათორელი მშენებლები შეებულებას საუკეთესო კურორტებზე ატარებენ. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში იყო ორასამდე მშენებელი, მათ შორის მშენებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე, კომუნისტური შრომის დამკვრელი კ. მუმლაძე, გვარაბგამყვანები მ. სარალიძე, ვ. გაფრინდაშვილი, დ. კოკოჩაშვილი. ბევრი მშენებელი ტურისტული საგზურებით იმოგზაურებს.

კ. ცარციძე.

△ **ბებეჯიკრი.** კიროვის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის გუგერის ზონაში სანიმუშო ფოსტალიონია ილიკო კვაშილავა. მის უბანში კოლმეურნეები მუდამ დროზე იღებენ ჟურნალ-გაზეთებს და სხვა გზავნილებებს. ილიკოს კეთილის მაგნეს ეძახიან და კოლმეურნეები პატივს სცემენ.

ო. მოჩეხელია.

△ **კასპი.** ცემენტის ქარხნის კულტურის სახლში მოეწყო ზეპირი უურნალი. საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ გ. შაქარაშვილი, ი. ხუციშვილი, გ. ხორგუაშვილი. ამ კარგი ღონისძიების ინიციატორი იყო რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება.

ნ. ელერდაშვილი.

ბოსტნეული... ანტარქტიდაში

სამხრეთპოლარული ობსერვატორია მირნიდან გვატყობინებენ: ახლა უკვე ველარ გაიკვირვებ ახალი ბოსტნეულით ანტარქტიდელ მეზამთრეებს: აქ ყუთებით ჩამოტანილი ლენინგრადის მიწა კარგ მოსავალს იძლევა.

ობსერვატორია მირნიში მოზამთრე პოლარელებმა შუა ზამთარში ოთახის პირობებში გამოიყვანეს პომიდორი, კიტრი, მწვანე ხახვი, ბოლოკი და მწვანე ბარდა. სადაურ ნოვოლაზარევსკაიაში მოზამთრე რადიოსმა ივანე ტიტოვსკიმ ფანჯრაზე მოიყვანა კიტრის ორი მოსავალი და პომიდორის ერთი მოსავალი. კიტრების სავეგეტაციო პერიოდი ორ თვეს არ აღემატებოდა, პომიდორისა კი ცოტა ნაკლები იყო ას დღეზე. ტიტოვსკიმ ერთ ბუჩქზე მოკრიფა 8-10 კიტრი, რომელთა წონა 80-200 გრამი იყო, და 12 მწიფე პომიდორი 60-110 გრამი წონისა.

პოლარელებმა შეიმუშავეს აგროტექნიკა, რომელიც ითვალისწინებს ყუთებში მიწის გათბობერებას და თესვის წინ მორწყვას კალიუმმანგანუმის ხსნარით.

მეზამთრეების აზრით ყინულოვან მატერიკზე მარტო ბოსტნეულის კი არა, ხილის მოყვანაც შეიძლება.

(საკადესის კორ.).

ბრძოლით დაზვერვა

ეს სათაური თანაბრად ეხება როგორც ფეხბურთელებს, ისე ჟურნალისტებს. არც პირველთ, არც მეორეთ მოკმედება არ შეუძლიათ, თუ კარგად ორგანიზებული დაზვერვა არ ექნათ. ჟიულ რიმეს თახის გათამაშების დაწყებამდე ჯერ კიდევ ბევრად ადრე, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ჩვენი ნაკრები ითამაშებს სანდერლენდსა და მიდლსბროში, ჩვენ მოვაწყეთ პირველი დაზვერვა — ადგილის დაზვერვა.

ორივე ქალაქში ორ გრძნობას შორის — არჩევანისათვის სიამაყესა და ორგანიზაციულ პანიკას შორის ბრძოლის მოწმენი გავხდით. თითქოს დღესაც გვეხმის ხმა კოლონიური სამსახურის ყოფილი პოლკოვნიკის, ლოუენდალეფეს ჩასკვნილი კაცის მისტერ ვაიდალისა, რომელსაც დაეკისრა პასუხისმგებლობა თახის მოსაპოვებელი მატჩების ჩატარებისათვის სანდერლენდში.

— საჭმელ-სასმელი სად ვიშოვნო? — შემოგვჩოდა იგი. — ლუდი და სოსისი კარგია ადგილობრივი მაყურებლებისათვის. მაგრამ უცხოელ მაყურებლებს კვების ძირითად პროდუქტად ხომ ვერ მივუჩენთ ლუდსა და სოსისს!

გასართობების მხრივაც ცუდად გვაქვს საქმე. როგორც იტყვიან, არც ბურა, არც სანაბაობანი. მთელ სანდერლენდში სულ ორი გვაქვს რიგიანი ღამის კლუბი, ისინიც ტელეფონმბილ ქალიშვილთა პანსიონს უგრო წაგავს. მაგალითად, ერთმა მათგანმა თავის დროზე უარი თქვა მომსახურება გაეწია „ბიტლზებისათვის“, მათი თმის სიგრძე მოიმზეზა, თუმცაღა რეზერვების იმედი მაქვს, საქართველოდან რომ ჩამოვლენ. ჩვენ ვ�ოთ იქაურ მოცეკვაეთა ანსამბლს, რომლებიც თავით ფეხთამდე შეიარაღებული არიან ცეკვიარაღით. მე, როგორც ყოფილმა კოლონიური სამსახურის ოფიცერმა, მათ თეატრი „იმპერია“ მივამაგრე.

მას შემდეგ ნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა. სანდერლენდის „სახკვები“ ოდნავ გაუმჯობესდა. ღამის კლუბებს მიუმატეს ისეთი გრძელმოიანი მომღერლები, რომ მათთან „ბიტლზები“ თავგაკარსულნი მოჩანდნენ. საქართველოდან ჩვენი მოცეკვეთეებიც ჩამოვიდნენ.

— პირდაპირ ხმლის წვეტზე ვცეკვავო, — გვითხრა ანსამბლის ხელმძღვანელმა, სხრ კავშირის სახალხო არტისტმა ილიკო სუხიშვილმა, — კონცერტების დახაწყისი მაგჩის დასაწყისს ემთხვევა, და ბიჭები ორმაგად ღელავენ, მოცეკვავეს ტემპერამენტს გულშემატკივრის მღელვარება ემატება.

მიდლსბროზე რაღა ითქმის? დღეს გაზეთი „სანი“ წერს, როცა სპორტის მინისტრმა მაუელმა შეიტყო, თუ რა ხვდა წილად ამ ქალაქს, გული წაუვიდაო. „ეს შეუძლებელია, — შესძახა მან, — იქ არა არის რა, გარდა ფეხბურთის მოედნისა, საპირფარეშოებიც კი არ არის?“

ვფიქრობთ ჩვენს აველ ჩანაწერებს: „რა შეიძლება ითქვას მიდლსბროზე? მხოლოდ რამდენიმე ნაფლეთანი სიტყვა, უფრო სწორად ღაზელი, რომლებსაც ცრემლებივით აფრქვევენ ბარდებს ბულბულები. ეს შედარება თუმცა რამდენადმე მაღალფარდოვანია, მაგრამ ჭარიდან ნაფი აგვიღია. საქმე ის არის, რომ მიდლსბროში საფეხბურთო შეხვედრათა ჩატარებისათვის პასუხისმგებელი მისტერი ჯოზეფ ლეტე, პეხიანზე მეფფი არქიტექტორი, ამია გულისათვის მოსწყვეტეს თავის საყვარელ საქმეს — გარდების გაშენებას. მისთვის დაკისრებული მისია ხელაც არ გვეჩვენება „ბარდისფრად“.

თუმცაღა ბრძოლით დაზვერვა გაგვიგრძელდა. საქმე ის არის, რომ ჩვენ რამდენადმე ადრე „ჩამოვედით სანდერლენდის სტადიონ „როკერ პარკზე“, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩვენი ნაკრები გუნდის მეტოქეები — იტალია და ჩილი.

იტალიის ნაკრებს შემთხვევით როდი უწოდებენ თავალხაჩინა გუნდს. იგი მართლაც ყოველთვის თვალწინ გვყავს. მისმა კაპიტნებმა ორჯერ — 1934 წელს კომბინმ და 1938 წელს მაცამ თვით ჟიულ რიმეს ხელიდან მიიღეს ოქროს ქალღმერთი. შემდეგში, მართალია, პატივი ნაკლები იყო. ცისფერ გუნდს შავი დღეებიც უნახავს. სანტიაგოში ჩილის 1962 წლის ჩემპიონატზე ინგლისელმა არბიტრმა კ. ასტონმა პოლიცია დაიხმარა და ასპარეზობიდან გააძევა ორი იტალიელი ერთად — ფერინი და დავიდი. ეს მოხდა ჩილიელებთან მატჩში. იტალიელებმა იგი წააგეს 0:2.

ჩილის ინციდენტის შემდეგ ორივე გუნდისათვის მიცემულმა გაფრთხილებამ, აქ, ინგლისში, ზეგავლენა მოახდინა. ფეხბურთის კორიდა ალარ მომხდარა. თამაშობდნენ დიდი დაძაბულობით, მაგრამ ხაზგასმით იჩენდნენ თავაზიანობას: ზოგჯერ ეგ არის, რომ არ ეამბორებოდნენ ერთმანეთს, თუმცა იგრძნობოდა, რომ ზოგიერთი ხადავი საკითხის უფრო ბუნებრივი გადაჭრა ხელჩართული ბრძოლა იქნებოდა.

აქ იტალიის გუნდს უნდა დავუმატოთ ჯაზის საყვირებით, ტაცუნებით, სასტვენებით შეიარაღებული სამი ათასი შავი „ტიფოზი“, ბოლო ჩილის გუნდს — ლათინური ამერიკის ქვეყნების მათი ორასი კოლეგა-მეტოქე.

თამაშის დასაწყისი მოგვაგონებდა ჩვენი გროსმეისტერების ზოგიერთი საჭადრაკო პარტიის კარგად შეხწავლილ ხადებინუტო მანევრებს, რომლებიც მოთამაშეებს არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს. ინიციატივას არავინ არ კიხრულობს. წინ სამ-სამი ფორვარდია. თვითეულ კართან სულ ცოტა ხუთ-ხუთი მცველია, მაგრამ ხაკმარისი იყო ჩილელებს მეთერთმეტე წუთზე ოდნავ შეენელებინათ სიფხიზლე, რომ ხაკარიმო მოედანზე შეეჭრა იტალიელი ბარისონი, რომელიც პასუტის ნაცვლად გამოდიოდა. მისი დარტყმული ბურთი მაცოლას მიუგორდა და ბან ი ინი მშვიდად გაგზავნა კარის ბადეში — 1:0.

პირველ ტაიმში იტალიელები აშკარად ხკობდნენ მეტოქეებს. ჩვენ ანცოუ უშფოთველად ვადევნებდით თვალს ბულგარელს, მაცოლას, რიგერას, სალვადორეს, ლოდეტის თამაშს. სანტერესოა, რომ ამ უკანასკნელს გადაუწყვეტია წვერი არ გაიპარსოს, სანამ გუნდი ნახევარფინალში არ გავა. თამაშობს წვერიანი, რომელიც სპორტსმენმა იოხუნჯა: ლოდეტის არ მოუხდეს გვერდი იუარის ბოლმე მილანელ დალაქებს 1970 წლამდე, როცა მექსიკაში შემდეგი მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართებოდა. მაგრამ მას შეუძლია გამოეთხოვოს წვერს ლონდონში ანდერლეხტიანში, სადაც ახლანდელი ნახევარფინალები გაიმართება.

მეორე ტაიმში იტალიელები მაინცდამაინც გულმოდგინეებს ალარ იჩენდნენ. ეტყობა, მეგალ ადრე ირწმუნეს, რომ იმარჯვებდნენ, თუმცა სულ ერთი ბურთი მჭონდათ მოგებული. ყურადღებას იპყრობდა ისიც, რომ იტალიის ნაკრები ზოგჯერ იხლართებოდა მაღალტექნიკურ ჩილელთა მონოტონურ თამაშში. მაინც შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ბარისონმა მოულოდნელად გაიტანა მეორე გოლი. 2:0.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გუშინ იტალიის გუნდის თამაშს უფრო ვაკვირდებოდით, იმიტომ რომ უახლოესი თამაში მასთან გვაქვს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ჩილელები მოითმენენ არასერიოზულ მოპყრობას.

ახლა, როცა ყველა გუნდი ჩვენს ჯგუფში უკვე წარმოსდგა ჩემპიონატზე, ჩვენ ვთბოვეთ ოთხი ნაკრების მწვრთნელებს ეპასუხნათ კითხვაზე: ვინ გავა, მათი აზრით მეოთხედფინალში?

მეინ რე ხენი (სსდრ) — სსრ კავშირი, იტალია.

ლ. ალაბოსი (ჩილი) — სსრ კავშირი, იტალია.

ე. შაბრი (იტალია) — იტალია, სსრ კავშირი.

ნ. მოროზოვი (სსრკ) — სსრ კავშირი, იტალია.

...ბრძოლით დაზვერვა მთავრდება. სანუკვარი თასის შორეულ მისადგომებზე პირველი ნამდვილი ბრძოლები ჩაღდება ქალღმერთი ნიკე გამარჯვების ქალღმერთია, და ეს მკაცრად უკარნახებს ფეხბურთის არმიებსა და მხედართმთავრებს მათს სტრატეგიას.

მ. სტეპრუნა,
ბ. ფიდოსოვი.

სანდერლენდი.

ქალღმერთის ღიმილი და გრიმასები

თასი თქვენი იქნება, თუ...

„თუ საბჭოთა გუნდი სანახევროდ მაინცაა ისე კარგი, როგორც ხაქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი, რომელიც ერთ ქალაქში გამოდის, „ოქროს ქალღმერთი“ თქვენია“, — განაცხადა სანდერლენდის მერმა ხაბჭოთა ტურისტების პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე.

ცოლები და ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი თუ ოჯახური ბედნიერება? ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდენ სხვადასხვა გარემოების გამო შვეიცარიის გუნდია მოთამაშეები: თავდამსმელი ჯეკობ კუნი და მცველი ფერნერ ლაინგრუბერი. ამას წინათ ისინი თავიანთ ოტელში 50 წუთით გვიან მივიდნენ და რეჟიმის დარღვევისათვის დასასჯელნენ.

თითქოს ინციდენტი ამოიწურაო, მაგრამ მათმა ცოლებმა ყური შოკრეს, რომ ქმრები დროს მხოლოდ ფეხბურთს როდი უთმობდნენ... მოთამაშეებმა გადაწყვიტეს სასწრაფოდ გამგზავრებულიყვნენ. მინ. რათა თავიანთი უდანაშაულობა დაემტკიცებინათ. ფეხბურთისა და სიყვარულის ქვეყანა ისევ შვეიცარიის ფედერაციის ხელმძღვანელებმა აღადგინეს, რომლებმაც ეჯვნან ცოლებს შესთავაზეს უფასოდ მგზავრობა ინგლისში.

სანდერლენდი. (საკადესი).

ვინ გავა ფინალში?

გუნდების მდგომარეობა 16 ივლისისათვის

პირველი ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
ურუგვაი	2	1	1	0	2—1
ინგლისი	1	0	1	0	0—0
მექსიკა	1	0	1	0	1—1
საფრანგეთი	2	0	1	1	2—3

მეორე ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
ბეჭრ	1	1	0	0	5—0
არგენტინა	1	1	0	0	2—1
ესპანეთი	2	1	0	1	3—3
შვეიცარია	2	0	0	2	1—7

მესამე ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
პორტუგალია	1	1	0	0	3—1
უნგრეთი	2	1	0	1	4—4
ბრაზილია	2	1	0	1	3—3
ბულგარეთი	1	0	0	1	0—2

მეოთხე ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
სსრ კავშირი	1	1	0	0	3—0
იტალია	1	1	0	0	2—0
ჩილი	2	0	1	1	1—3
ესდრ	2	0	1	1	1—4

ტურნირი ლიმ-ანდელოსში

ხვალ ლიმ-ანდელოსში იწყება „პატარა ბოლოსეუმის ოსეს“ გათამაშება ტენერაში. ამ ტრადიციულ ასპარეზობას ეყობს ცხოლილი ამერიკელი ვიოლონჩელისტი ჯ. პიატიგორსკი.

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა მონაწილეთა სია. ბრაზილიელი ებმება ებრაელ ოსტატთან: მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, მეოთხეული მეტოქე ბ. სპასკი, აშშ-ის შვიდგზის ჩემპიონი რ. ფიშერი, აშშ-ის ხუთგზის ჩემპიონი ხ. რეშევსკი, ბ. ლარსენი (დანია), ლ. პორტიში (უნგრეთი), ბ. ფოკოვი (იუგოსლავია), ბ. ნაიდორფი (ავსტრია), ვ. უნციკერი (გფრ) და ი. ლენერი (ჰოლანდია). შეკიბრება მოეწყობა ორ წრად.

◆

სპორტსმენმა რომ შეჯიბრება მოიგოს...

პეკინის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებენ ცნობას, რომ ტოკიოში ერთმანეთს შეხვდნენ ჩინეთისა და იაპონიის მაგიდის ჩოგბურთის გუნდები, და ხაზს უსვამენ ერთ-ერთი ჩინელი სპორტსმენის ნათქვამს ამ შეხვედრის გამო. როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ამ სპორტსმენმა თქვა. „ალბათ, თუ სპორტსმენს სურს მოგება შეჯიბრება, მან ერთ წუთსაც არ უნდა გადაუხვიოს მაო ძე-დუნის ideებს. თუნდაც ერთ შეჯიბრებაში, ერთ პატარაში, ან რამდენიმე ბერძნის მიწოდების დროს რომ არ გამოიყენო თავმდგომარე მაოს ideები, როგორც გუნდის ძალა, შეიძლება დამარცხდე“. (საკადესი).

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ჩვენ ვიცხოვრთ, ჩვენ შეუსრულოთ

ტელევიზია

16 ივლისი

12.00 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. ინგლიური-ბრაზილია (გადმორეკვა ინგლისიდან), 16.25 — გადაცემათა პროგრამა, 16.30 — „ბავშვებისათვის“ — „პინოქიოს ზეიმი“, 17.30 — მოსწავლეთათვის — „ოქროს ქალღმერთი“, 17.50 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. საბჭოთა-ავსტრიული-იტალია (გადმოცემა ინგლისიდან), 19.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „ბინოკლი“, 20.45 — ახალი ამბები, 21.05 — საელექტროსატელევიზიო ალმანახი „სალაღობო“, 22.05 — მხატვრული ფილმი „ბერლინის სკვნა“, 23.40 — გადაცემათა პროგრამა 17 ივლისისათვის, 00.45 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში — ბულგარეთი-პორტუგალია (განმეორებით გადმოცემა მოსკოვიდან).

17 ივლისი

10.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — 11.40 — ლექცია ფიზიკაში, 13.00 — ლექცია ქიმიაში. 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — „ინოკენტინელი, 17.40 — გადაცემა — „მეტალურგის დღე“, 18.05 — კონცერტი მეტალურგთა თხოვნით, 18.55 — „ინფორმაციები, 19.05 — გადაცემა — „ბროსე და ოუსთაველი“, 19.30 — „ინოსმოგზაურთა ალბომი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „სპორტული ალბომ-ალბომი“, 21.40 — მხატვრული ფილმი „ფანფან-ტულპანი“, 23.15 — გადაცემათა პროგრამა 18 ივლისისათვის, 23.20 — „საყვარელი მომღერლები“ — ანა მოფო (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.10 — (გადმოცემა მოსკოვიდან) მსოფლიო პირველობა ფეხბურთში სსრ კავშირი-იტალია (გადმოცემა).

კინო

16 ივლისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (სახალხო), ოქტომბერი — დავა, ამირანი — „ქორწინება იტალიურად. ფილარმონიის ბაღი — ცდუნებული და მოტოვებული, კოლმეურნე, ბლეხანოვი სახელობის კულტურის სახლი — ყველაზე თვინიერი, ახანი (სახალხო) — შესანიშნავი შვიდეული, სარეკლელი (სახალხო) — წითელი ბერეტები, თბილისი, კომკავშირელი, კოსმოსი — ხიყვარული თელებს ქვეშ, კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ბათუმი — ელჩთა შეთქმულება, კოლხიდა (სახალხო) — ბრძოლა ველზე, ნაკადული — ათენის მიდამოებში, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — უცხო ქალი, 26 კომისრის სახელობის (სახალხო) — შემოწმებულია, ნიმფები არ არის, ბაზალეტი — ხიყვარული და მოდა. თანამგზავრი — ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ფიზელი, ვაკის პარკი — ხაფოსტო მატარებელი, გაძარცვა, გორკის სახელობის კულტურის სახლი (სახალხო), ეკრანი — ქალიშვილი ჯუნგლიდან (I-II სერია).

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 9-08-08, 9-08-09, ბ/მგ მდივნის — 9-72-80. ხასმდივნისა — 9-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 9-67-61, პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70 მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ხელოვნების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90. უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-78-24. ილუსტრაციის — 8-28-54. განცხადებების — 8-98-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 04975

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.